პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2026 წლის ---- ივნისი

ქ. ბათუმი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №30 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 02/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.132.016491) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის (დანართი)“:

1. მე-5 მუხლის პირველ პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) თავმჯდომარის მოწვევის შემთხვევაში - სტატუსი მოწვეული თავმჯდომარე.“.

2. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდეგომ დაემატოს შედეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:

„ვ) ამხანაგობის თავმჯდომარის სახელს და გვარს;

ზ) ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას.“.

მუხლი2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 30 ივნისის №30 დადგენილებით დამტკიცდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი“, რომლის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერას, აგრეთვე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის/აღრიცხვიდან მოხსნის პირობების განსაზღვრა. დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას გამოიკვეთა რიგი საკითები რაც საჭიროებს დაზუსტება/დაკონკრეტებას. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ნებისმიერი წევრი ან მოწვეული პირი, აქედან გამომდინარე თუ ამხანაგობის თავმჯდომარეა მოწვეული პირი ასეთის შესახებ უნდა მიეთითოს ამხანაგობის ოქმში, ასევე მნიშვნელოვანია რომ ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევისას მითითებული იქნას თავმჯდომარეობის ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ცვლილება იქნას შეტანილი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №30 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულის წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი: „მ) თავმჯდომარის მოწვევის შემთხვევაში - სტატუსი მოწვეული თავმჯდომარე.“ აგრეთვე, მე-6 მუხლის მე-6 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდეგომ დაემატოს შედეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები: „ვ) ამხანაგობის თავმჯდომარის სახელს და გვარს; ზ) ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა.“. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ხსენებული დადგენილებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: დადგენილების მიღება არ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების გაწევასთან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - პროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

ე) პროექტის ავტორი:

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს
ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი ლელა მჟავანაძე